# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2725 2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

**ზოგიერთი მეწარმე სუბიექტისთვის მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების შესახებ**

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №633 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, მიენიჭოთ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტებს.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

| N | გადამხდელის დასახელება | ს/ნ | საქმიანობის განხორციელების ადგილი | საქმიანობის სახე (მოკლე აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ი/მ „ანა ელიშვილი“ | 44001000093 | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გერგეტის უბანი | გაყინული ნახევარფაბრიკატების დამზადება-რეალიზაცია |
| 2 | შპს „მესხეთის მეფრინველეობა“ | 424069493 | ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. კლდე | მეფრინველეობის ფერმაში კვერცხის წარმოება |
| 3 | ი/მ „ტიტე მანდარია“ | 49001001852 | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოყურეში | ღვინის წარმოება |
| 4 | ი/მ „სურენ მნაცაკანიან“ | 32001001047 | ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. N60 | სამშენებლო ბლოკის წარმოება/რეალიზაცია |
| 5 | კოოპერატივი „რკ საარაგეჲ“ | 429321682 | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წითელი კლდე | სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა |
| 6 | კოოპერატივი „რკ სოფ. გორას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი“ | 228882849 | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორა | სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (თივის მოყვანა-დამუშავება) |
| 7 | შპს „ალპური“ | 426112645 | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიხარულა | რძის გადამამუშავებელ საწარმოში ყველის წარმოება |